

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კანონის “მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ” პირველი მუხლის თანახმად: “**მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ამ ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურებისათვის.**”

საქართველოს კანონიც “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” ადგენს: “**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც იხდის საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირი შესაბამისი ორგანოს მიერ ასლის გადაღებისათვის.**” კანონით, ასევე, დადგენილია მოსაკრებლის გადახდის ადგილი და წესი: “**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადაიხდება საჯარო დაწესებულების საღაროში.**” გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა კი მოხდება მხოლოდ საღაროს მიერ გაცემული ქვითრის წარდგენის საფუძველზე. კანონით ზუსტად არის დადგენილი წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა საჯარო დაწესებულებისათვის.

თუმცა, ასლის მოსაკრებლის გადახდა მხოლოდ ხსენებული ნორმატიული აქტების რეგულირების სფეროს არ წარმოადგენს. აღნიშნულთან უშუალო კავშირშია და სავალდებულოდ შესასრულებელია, ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ადგენენ საღაროს წარმოების წესებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის №328 ბრძანება “საღაროს მეურნეობის შესახებ” განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და საჯარო დაწესებულებების მიერ საღაროს მეურნეობის ორგანიზებისა და გაძღოლის წესებს. ბრძანების შესაბამისად, საღაროს მეურნეობის ორგანიზება ევალება ხელმძღვანელობას, ხოლო მოლარის ძირითადი ფუნქცია არის საღაროდან ნაღდი ფულის მიღებისა და გაცემის ოპერაციების შესრულება.

“საღაროს მეურნეობის შესახებ” ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად “**საღარო ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ასახვა საბუღალტრო რეგისტრებში ხორციელდება “საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ” დებულებით.**” ხსენებული დებულება დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით და განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძვლებს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან იურიდიულ პირებად. პრეზიდენტის განკარგულებით რეგულირებული საკითხები არ მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საღაროს გაძღოლის წესებს. თუმცა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება

ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებებზეც. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღნიშნეთ ამ ბრძანებით დადგენილი სალაროს გაძღოლის წესები სავალდებულოა როგორც კერძო სამართლის იურიდული პირებისათვის, ისე საჯარო დაწესებულებებისათვის. ამდენად, აღნიშნული ბრძანების თანახმად (მუხლის 3, პუნქტი 2): **“სალაროში ნაღდი ფული მიიღება მხოლოდ შემოსავლის ორდერით, რომელსაც აქვს ორი მხარე... ფულის შემომტანზე გაიცემა მთავარი ბუღალტერისა და მოლარის ხელმოწერით დადასტურებული, შემოსავლის ორდერის მეორე ნაწილი-ქვითარი, რომელზეც იქნება პირის მრგვალი ბეჭდის ნახეარი.”**

სალაროს მეურნეობის გაძღოლის წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის №1278 ბრძანება **“საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”**. 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: **“სალაროდან ნაღდი ფულის გაცემისა და მიღების ოპერაციებს ასრულებს მოლარე. ორგანიზაციებში სადაც შტაბით არ არის გათვალისწინებული მოლარის თანამდებობა, ხელფასების გაცემა და სამეურნეო ხარჯების განაღდება წარმოებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული ანგარიშვალდებული პირების მეშვეობით, ამასთან ამ პირებთან იდება ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ”**.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს: **“სალაროში ნაღდი ფულის მიღებისა და გასავლის დოკუმენტებია “სალაროს შემოსავლის ორდერი” და “სალაროს გასავლის ორდერი”**. მათი გამოწერის უფლება აქვს მთავარ ბუღალტერს ან ბუღალტერიის სხვა თანამშრომელს. დაუშვებელია ამ უფლების გადაცემა მოლარეზე.”

ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების თანახმად: **“ბანკის საბუთებს, აგრეთვე სალაროს გასავლის ორდერებსა და ხელფასის საგადახდო უწყისებს, ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი და მოლარე ან მათი შემცვლელი პირები, ხოლო სალარო შემოსავლის ორდერებს მთავარი ბუღალტერი და მოლარე.”**

2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები

მნიშვნელოვანი საკითხია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის სახით სალაროში შემოსული თანხების ბიუჯეტის ანგარიშზე გადახდის კანონმდებლობით დადგენილი წესები. საქართველოს კანონის **“საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ”** მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს: **“უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ჩარიცხვა ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.”**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 15 მარტის №136 ბრძანების თანახმად კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული საბიუჯეტო

კლასიფიკაციის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ასლი გადაღების მოსაკრებლის სახაზინო კოდი არის 3091.

საღარიბოში შემოსული თანხები საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უნდა ჩაირიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

თუმცა, ვიდრე მოსაკრებლის სახით შემოსული თანხების ბიუჯეტის ანგარიშზე გადარიცხვა მოხდება. „საღარიბოს მეურნეობის შესახებ“ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: **“პირები, რომლებზედაც ვრცელდება მოცემული დებულება ვალდებული არიან სამუშაო დღის ბოლოს ნაღდი ფულის ამონაგები შეიტანონ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში თავიანთ ანგარიშზე.”** ამავე მუხლის თანახმად საბანკო დაწესებულებაში შეტანილ უნდა იქნეს ნაღდი ფულის ნაშთის მოცულობის ზემოთ არსებული ნაღდი ფული. ნაღდი ფულის ნაშთი არის ამონაგები თანხის 0.3%. ამავე აქტის თანახმად **“ნაღდი ფულის ჩაბარების პირობები განისაზღვრება მომსახურე ბანკთან ხელშეკრულებით.”**

რაც შეეხება, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან საღარიბოში შემოსული თანხების ბიუჯეტში გადარიცხვების პერიოდულობას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 14 მაისის №331 ბრძანების „ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ანგარიშსწორების წესის შესახებ“ მე-10 პუნქტის შესაბამისად: **“სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტისა და რეგიონალური ხაზინების სპეციალურ ანგარიშებზე რიცხულ სახსრებზე ორგანიზაციებმა არა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა წარადგინონ საგადახდო დავალებები დარიცხული გადასახადების გადასახდელად, ხოლო დარჩენილი თანხა მიმართონ ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახდო შემოსავლებში.”**

3. ანგარიშვალდებული პირების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

“საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის №1278 ბრძანების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად: **“საღარიბოს მეურნეობის ორგანიზაციას ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საღარიბოდან ნაღდი ფულის გაცემისა და მიღების ოპერაციებს ასრულებს მოღარე. ორგანიზაციებში, სადაც შტაბით არ არის გათვალისწინებული მოღარის თანამდებობა, მუშებსა და მოსამსახურეებზე ხელფასების გაცემა და სამეურნეო ხარჯების განაღდება წარმოებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული ანგარიშვალდებული პირების მეშვეობით. ამასთან, ამ პირებთან იდება ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.”**

საბიუჯეტო დაწესებულებებში ანგარიშვალდებულ პირთა სახელზე საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნასა და ამ ანგარიშებიდან ანგარიშსწორების წესებს აღგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის №1266 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მოსამსახურეთათვის საბანკო დაწესებულებებში

ანგარიშების გახსნის შესახებ”. ბრძანება მიზნად ისახავს საბიუჯეტო დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურებთან ანგარიშსწორებისა და სხვა გასაცემლებით ანგარიშსწორების მოწესრიგებას. მე-2 პუნქტის შესაბამისად: **“სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა მივლინების და სხვა თანხებით ნაღდი ანგარიშსწორებისათვის ანგარიშვალებული პირის მიერ შერჩეულ საბანკო დაწესებულებაში გახსნან ხელმძღვანელის ბრძანებით (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) განსაზღვრული ანგარიშვალებული პირის ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიში.”** ორგანიზაციის მიერ გახსნილ ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინიდან თანხების გადარიცხვა ხდება მომსახურე ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე. საბოლოოდ, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული და საბანკო დაწესებულებიდან ანგარიშვალებული პირის მიერ გამოტანილი ნაღდი ფული უნდა ჩაბარდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის სალაროში. ბრძანების მე-4 პუნქტით: **“ანგარიშვალებული პირის მიერ საბანკო დაწესებულებიდან მივლინების და სხვა თანხების სახით მიღებული ნაღდი ფული ჩაბარდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის დაწესებულებაში.”**

“საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის №1278 ბრძანების მე-5 თავის 30-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ანგარიშვალებულ პირებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის წესებს. აღრიცხვას ექვემდებარება ანგარიშსწორებანი ანგარიშვალებულ პირებთან მათზე გაცემული ავანსების მიხედვით; აგრეთვე, ანგარიშსწორებანი მივლინებით და დანაკლისებით.

4. საჯარო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკა

საჯარო დაწესებულებათა უმეტესობას საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის გადახდის წესისა და მექანიზმების შესახებ შიდა უწყებრივი აქტი მიღებული არ აქვს. ამის საფუძველად ისინი მიიჩნევენ “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების შესახებ” საქართველოს კანონით საკითხის სრულყოფილ რეგულირებას.

ნაწილი საჯარო დაწესებულებების მიიჩნევს, რომ კანონის ამოქმედებამ მთელი რიგი პრობლემები შეუქმნა საჯარო დაწესებულებებს. მართალია, კანონში ზუსტად არის გაწერილი ასლის საფასური და გადახდის წესი, მაგრამ სალაროს წარმოების შესახებ სავალდებულო სამართლებრივი აქტების და აღნიშნული კანონის ერთობლივმა მოქმედებამ საჯარო დაწესებულებებს შეუქმნა მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები.

რამდენიმე საჯარო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ასლის მოსაკრებლის გადახდის მექანიზმების არარსებობის გამო საკითხი მოუგვარებელია. მექანიზმების არარსებობაში კონკეტულად რა მოიაზრება, სამწუხაროდ, საპასუხო წერილებში არ არის დაკონკრეტებული.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით *“სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესსა და პირობებს,*

მოსაკრებლის ოდენობასა და გადახდის მექანიზმებს არეგულირებს “საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონი და “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონი.” პრაქტიკაში არსებული ამ მაგალითის განხილვისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხსენებული კანონები საფასურის გადახდის წესსა და პირობებს განსხვავებულად ადგენენ. “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონი ცალსახად ადგენს, რომ “საჯარო ინფორმაციის ასლი გადაღებისას მოსაკრებელი გადაიხდება საჯარო დაწესებულების სალაროში.” ხოლო “საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასური გადაიხდებინება მომსახურების გაწევისათვის, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. მე-4 პუნქტის შესაბამისად: **“ნაღდი ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.”** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურება გულისხმობს, სარეგისტრაციო მომსახურებას, უძრავ ნივთებზე პირველად და შემდგომ რეგისტრაციას და ა.შ. სწორედ აღმნიშნულ მომსახურებაზე საფასურის გადახდა უნდა ხდებოდეს საბანკო დაწესებულებების მეშვეობით, ხოლო რაც შეეხება, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის გადახდას, მოქალაქეებმა აღნიშნული საფასური უნდა გაიხადონ სააგენტოს სალაროში. ასევე, მნიშვნელოვანია ის საკითხიც, რომ ასლის მოსაკრებლის საფასური გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო სააგენტოს მომსახურების საფასური – სააგენტოს ანგარიშზე. წარმოდგენილი განსხვავებები, ბუნებრივია, წარმოშობს მთელ რიგ ტექნიკურ ხარვეზებს სააგენტოს საქმიანობაში.

ასლის მოსაკრებლის გადახდის მოსაწესრიგებლად შიდა ორგანიზაციული აქტის არ არსებობის ერთ-ერთ არგუმენტად საჯარო დაწესებულებების მხრიდან დასახელებულ იქნა ის გარემოება, რომ კანონი “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” ასეთი აქტის მიღების ვალდებულებას არ ითვალისწინებს. თუმცა, ამ პოზიციას არ იზიარებენ რიგი საჯარო დაწესებულებები და მათ მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების მიზნით მიღებულ იქნა შესაბამისი აქტები. მაგალითად, “2005 წლის 13 მაისის “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულების მიზნით საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასლის გადაღების მოსაკრებლის აღრიცხვისა და ბიუჯეტში შეტანის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2005 წლის 23 ივნისის №23-ს ბრძანება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (როგორც კანონის, ასე “სალარო მეურნეობის შესახებ” დებულების), ადგენს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის დადგენილ პროცედურებს. ბრძანებით მითითება ხდება “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონის მე-6 მუხლსა და “სალარო მეურნეობის წარმოების შესახებ” დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელთა შესაბამისადც უნდა მოხდეს საფასურის გადახდაც. ბრძანებით, ასევე, განისაზღვრა კონკრეტული პასუხისმგებელი პირები.

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის აქტები აქვთ მიღებული სხვა საჯარო დაწესებულებებსაც, ზემოთმოყვანილი მაგალითისაგან განსხვავებით,

იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში განსაზღვრულია სამდღიანი ვადა სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ასლის მოსაკრებლის სახით მიღებული თანხების გადარიცხვისათვის. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად ჯერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიმართოს საფინანსო-ადმინისტრაციულ დეპარტამენტს და დეპარტამენტმა ამ მიმართვის საფუძველზე უნდა მიიღოს თანხა დაინტერესებულ პირისაგან.

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ადმინისტრაციული აქტი მიღებული არ არის, თუმცა მათ მიერ მოწოდებულ იქნა *“ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ”*, რომელშიც მითითებულია ასლის საფასური და გადახდის წესი: *“მოსაკრებლის თანხის ოდენობის ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდის შემთხვევაში, გადახდა მოხდება საქართველოს მთავრობის კანცელარიის სალაროში, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შემთხვევაში მოსაკრებლის თანხა უნდა გადაირიცხოს საქართველოს ეროვნულ ბანკში”*. მართალია, აღნიშნული დოკუმენტი არ არის სამართლებრივი აქტი, მაგრამ თუ საჯარო დაწესებულებების მიერ ხდება მოქალაქეებისათვის ასლის გადაღების საფასურის გადახდევინება უნაღდო ანგარიშსწორებით, ასეთ შემთხვევაში მათი მხრიდან ადგილი აქვს კანონის მოთხოვნების დარღვევას. კანონი ცალსახად ადგენს მოსაკრებლის სალაროში გადახდის ვალდებულებას ინფორმაციის გამომთხოვნი პირისათვის. რაც არის იმის გარანტია, რომ მოქალაქეს კანონით დადგენილ თანხაზე მეტის გადახდა არ დაეკისრება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ასლის მოსაკრებლის გადახდის საკითხი ერთი აქტით არ წესრიგდება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 15 ივლისის №542 ბრძანება *“საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების ღონისძიებათა უზრუნველყოფის შესახებ”* ადგენს შესაბამისი საჯარო მოსამსახურეებისათვის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის ვალდებულებას. 2006 წლის 20 იანვრის №62 ბრძანებით დაინიშნა სამინისტროს ანგარიშვალდებული პირი. და ბოლოს, 2005 წლის 26 დეკემბრის ბრძანება ადგენს სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მოსამსახურეთათვის საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის წესებს, რაც, ასევე, სავალდებულოა სხვა დაწესებულებებისათვის.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის შესწავლამ ნათელი გახდა საკითხისადმი არაეთვაროვანი მიდგომა. ამავდროულად გამოკვეთა ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა როგორც მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მოპოვებას, ასე, საჯარო მოხელეთა საქმიანობას.

5. გამოვლენილი პრობლემები

- საჯარო დაწესებულებებში არსებული პროცედურების სირთულე;
- საჯარო მოხელეთა რესურსის არარაციონალურად გამოყენება;

- სხვა რაიონში ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრები მოქალაქეების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას კანონიერი გადახდის მექანიზმების არარსებობა;
- საჯარო დაწესებულებებში მოსაკრებლის გადახდევინების არაერთგვაროვანი წესების არსებობა.

6. პრობლემის გადაჭრის გზები

რეკომენდაცია 1

საჯარო დაწესებულებებისათვის მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ზემოთმითითებული პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრის ერთ-ერთი საშუალებას წარმოადგენს შიდა ორგანიზაციული აქტის მიღება, რომელიც დეტალურად გაითვალისწინებს “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის”, “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის №328 ბრძანებით დამტკიცებული “საღაროს მურნეობის შესახებ” დებულების, “საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის და სხვა აქტების მოთხოვნებს.

შიდა ერთიანი აქტით უნდა განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი – მისი ვალდებულებები. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი და პასუხისმგებელი პირი. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების შედეგად საღაროში ჩარიცხული ფულადი სახსრების ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადარიცხვის წესი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო დაწესებულების მიერ შიდა აქტის მიღება ხელს შეუწყობს საკითხის ნაწილობრივ მოწესრიგებას. აღნიშნული აქტი უკვე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებულ წესებს ვერ დაადგენს, მისი მოქმედების არეალი შემოისაზღვრება, მხოლოდ იმ უწყებით, რომლის ფარგლებშიც იქნება მიღებული, მაგრამ ეს იქნება საშუალება ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს განსხვავებული გადასახდელები. მაგალითად: საჯარო რეესტრის მომსახურებისათვის საფასურის გადახდა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა. როგორც ზემოთ უკვე მითითებულ იქნა ეს საკითხები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული საკითხებია და განსხვავებულადაც უნდა წესრიგდებოდეს. ერთიანი შიდა აქტის მეშვეობით შესაძლებელი გახდება ერთგვაროვანი მიდგომისა და პრაქტიკის დამკვიდრება. თუმცა, საჯარო მოსამსურეთა რესურსების არარაციონალური გამოყენების, პროცედურული სირთულის მოგვარების ინსტრუმენტად აღნიშნული აქტი ვერ იქცევა.

რეკომენდაცია 2

ჩამოთვლილი სირთულეების გადასაჭრელად უნდა მოხდეს საქართველოს კანონის “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონში ცვლილებების შეტანა.

საქართველოს კანონის “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონის ამოქმედების შემდეგ არ შესწავლილა საკითხი რამდენად კარგად მოქმედებს აღნიშნული აქტი, წარმოშვა თუ არა საჯარო დაწესებულებებში ასლის გადაღებისათვის საფასურის გადახდევინებამ პრობლემები, მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული შემოსავალი აღემატება საჯარო დაწესებულების ხარჯს თუ არა და ა.შ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთდახმარების ვალდებულებას, მე-19 მუხლის თანახმად **“ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს”**. მოყვანილი დებულება ადგენს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში უფასოდ დახმარების გაწევის ზღვრულ ოდენობას, რომლის ზემოთაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადაიხადოს საზღაური.

აღნიშნული პრინციპი შესაძლებელია გაზიარებულ იქნას “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონშიც და კანონში ცვლილებების შედეგად დაწესდეს გარკვეული ზღვარი (შესაძლებელია ეს გამოხატული იყოს ფურცელთა რაოდენობაში, ან თანხებში), რომლის ფარგლებში საჯარო ინფორმაციას საჯარო დაწესებულებები გასცემენ უფასოდ, ხოლო დადგენილ ზღვარს ზემოთ გაცემული ინფორმაციისათვის მოქალაქე გადაიხდის კანონით დადგენილ მოსაკრებელს.

აღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც, რადგან 38-ე მუხლის თანახმად: **“საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.”** მოყვანილი დებულებით ცალსახაა, რომ ასლის გადაღებისათვის უნდა დაწესდეს **აუცილებელი** თანხის ანაზღაურების ვალდებულება. აუცილებელი თანხა გულისხმობს საჯარო დაწესებულების მხრიდან ისეთი მომსახურების გაწევაზე თანხის გადახდას, რომელიც გონივრული ხარჯის ზღვარს აღემატება. საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდევინებისათვის შეუსაბამოდ არ უნდა იხარჯებოდეს როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად აღმოიფხვრება საჯარო ინფორმაციის გაცემისა და მოსაკრებლის გადახდევინების არსებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა, ასევე, საჯარო მოსამსახურეთა ადამიანური რესურსის არაციონალური გამოყენება, ნაწილობრივ მოგვარდება სხვა რაიონში ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხი.